

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზაძე



1927



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. სურითი —	2
2. ამხ. კლარა ცეტკინი—მანისა	4
3. ზაჭესის ჩიტები—ლექსი—ი. სიხარულიძის	5
4. პატარა ლექსო კინო გადაღებაზე—ე. მდივანის	12
5. ახალი სიმღერა-ლექსი—დ. თურდოსპირელის	13
6. ჩვენი კონსტიტუციის დღე ვ—ნო	15
7. ბავში ქუჩიდან—გ. ზარიძის	20
8. ლამფების საუბარი—ლექსი—ი. გრიშაშვილის	21
9. ანკესი—ნინო ნაკაშიძის	23
10. პატარა ჩინელი—ლექსი. გ. რობიტაშვილის	25
11. ბავშვის მეგობარი იაკობ სიმონისძე გოგებაშვილი—ი. სიხარულიძის	28
12. კოკონთან—თარგმანი—გოგის	

ბავშვთა შემოქმედება! 1) გლეხის სიმღერა.—ვასო მახარაშვილი 1) პატარა პიესა, — შურა ელენტი. 3), ურბული ლამეში გ. ნადიაშვილი. 4) სურამი, — სურამელი მგალობლიშვილი 5) პატარა ხევსურის სიმღერა. ე. ხარნაული 6) რიონი. გ. ძამაშვილი 7) ეთოს ლექსი — ზირაქიშვილი.

თამაშობა

ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი.

დავცურავ ზღვაზე
და ვაპობ ტალღებს,
ჩემს კედლებ წყალი
ვერაფერს აკლებს;
მე დამყავს ხალხი
კიდიდან კიდე,
მაქვს დიდი მილი,

გვერდებზე რიდე.
მივცურავ, მივჭრი,
ვით მინდვრის ქარი
ჩემი დამწვევი
არაფინ არი.
გამოიციანი,
აბა, რა არი?!

დ. მარიჯანიძე.

რა ასოები უნდა მივუმატოთ ქას, რომ გამოგვივიდეს ფუტკრის ნაშრომი.

ისარი.

ნახალხური



მე-XXIII წ. | № 7 | ივლისი | 1927 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარმართველობის და
საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. უფრნალი ბავშვებისათვის.

F 1929



სახ. საგ. სახელმწიფო
საქართველოს
ბიბლიოთეკა
თბილისი

საბავშვო სპორტი სანჯოთა ჯვშირში. არხანგელსკის ბავშვების სპორტი.
„იახტების“ ჩაშვება წყალში.

ახ. კლარა ცეცქინი.

5 იელის შესრულდა 70 წელი ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ბელადის ახ. კლარა ცეცქინის დაბადების დღიდან.

კ. ცეცქინი დაიბადა 1857 წელს გერმანიაში. ის სოფლის მასწავლებლის შვილია.

კლარა იზრდებოდა სოფელში გლეხის შვილებთან ერთად. პატარაობიდანვე ეცნობოდა ის რუს რევოლუციონერ სტუდენტთა წყალობით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობას, დადიოდა მუშათა კრებებზე და სერიოზულად დაიწყო სოციალისტური ლიტერატურის შესწავლა.

1878 წელს მთავრობას შეუმჩნეველი არ დარჩა რევოლუციონერების მუშაობა და დაუწყეს მათ დევნა. კლარა ცეცქინი იძულებული გახდა გადახვეწილიყო შვეიცარიაში. აქ ის უფრო აქტიურად შეუდგა მუშაობას.

შვეიცარიიდან კლარა ცეცქინი საფრანგეთში გადავიდა, სადაც დაუახლოვდა ფრანგი სოციალისტების ბელადებს და დაიწყო მუშაობა ვახ „სოციალისტის“ რედაქციაში.

კ. ცეცქინი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის რევოლუციონერ მუშაობაში მშრომელ ქალებს, და მათთვის გამოისცა ეურნალი „თანასწორობა“, რომელიც მუშა-ქალების მებრძოლ ორგანოდ გადაიქცა, სადაც კ. ცეცქინი განუმარტავდა მშრომელ ქალებს, რომ „ერთ-ერთი გზა მათი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებისაკენ—ეს არის მსოფლიო რევოლუციონური პროლეტარიატის რიგებთან გაერთიანება, შეკავშირება და სხვათა ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.



კლარა ცეტკინი მარტო გერმანელ ქალთა შორის კი არ მუშაობდა, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. მისი ხელმძღვანელობით იყო მოწვეული სოციალისტი ქალების საერთაშორისო თათბირი 1907 და 1916 წელს, სადაც შეიქმნა ქალთა საერთაშორისო ბიურო, რომლის მდივნად არჩეულ იქნა კ. ცეტკინი.

კონენზაცენში გამართულმა თათბირმა კ. ცეტკინის წინადადებით დაადგინა, რომ მთელ მსრფელიოში დღესასწაულად იყოს გამოცხადებული ქალთა საერთაშორისო დღე.

1914 წელს რ. ლიუქსემბურგთან და კ. ლიბკნეხტთან ერთად კ. ცეტკინი ებრძვის სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ. ამის გამო მას აპატიმრებენ. 1915 წ. რუს ბოლშევიკებთან ერთად კ. ცეტკინი იწვევს ბერლინში ქალთა საერთაშორისო კონფერენციას.

მისი მონაწილეობით გერმანიაში რევოლუციონურ წლებში დაარსდა კომუნისტური პარტია.

1921 წელს კ. ცეტკინი მიემგზავრება საბჭოთა რუსეთში.


1924 წელს რემედანის საერთაშორისო კონფერენციაზე ის არეულ იქნა რემედანის აღმასკომის თავმჯდომარედ და დღესაც ამ თანამდებობაზე მუშაობს.

ამასთან ერთად ის არის კომინტერნის აღმასკომის წევრი, სათავეში უდგია ქალთა საერთაშორისო სამდინოს, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ქალების კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ქალარამოსილი, მაგრამ სულთ მუდამ ახალგაზრდა კლარა ცეტკინი თავისი ფოლადისებური ნებისყოფით, მუშათა კლასის საქმისადმი ერთგულებით არის მაგალითის მაჩვენებელი ყველა ქვეყნის მუშებისათვის, რომლებიც კომუნიზმის გამარჯვებისათვის იბრძვიან.

დღეს ის უკვე ხედავს, როგორ იზრდება და ფართოვდება ყველა ქვეყნებში ქალთა მასიური რევოლუციონური მოძრაობა და როგორ იბრძვიან განთავისუფლებისათვის აღმოსავლეთის ჩაგრული ქვეყნების მშრომელი ქალები.

დღეს მას შეუძლია უცქიროს, როგორ აშენებენ საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი ქალები თავის ძმებთან და ქმრებთან ერთად სოციალიზმს, რომლის საქმეს მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.



ზაჰმენის ჩიტიუბი

ჩვენს ოთახშიც შემოფრინდა
 აუჭლიდან ცეცხლის ჩიტი,
 შუშის ბურთში დაიბუღა,
 ჭერში რომ ვვაქვს დანაკიდი!!
 მარტო ჩვენსას? ეველგან! ეველგან!
 ეველა უბანს მიაბურა,
 სარდაუშიაც ჩაცმციმდა,
 ცეცხლის შუქი დაასურა;
 შეინახეს ნათის ჭრაქი,
 სწოლდით ბინა რომ ვამურა,
 ეველგან ჭერში დაეკიდა

აქროსფრთება შისი შუქურა!
 ნამდის ბოძებს მთელი დამე
 შუქი უერთის აქროს კბილის,
 აუჭლიდან შისი ჩიტები
 დაესუია მცხეთას, ტყვილისს!...
 სღაზარა, თუ ნამდვილი?
 გუმინ ვაქონდა ჭრაქი, კვარი,
 წყაღში ცეცხლი როგორ კახნდა?
 მსეს ვვიკახუნის დამით მტკვარი!!

ილია სიხარულიძე



პატარა ლექსო კინო- ბაღალეგაზე.

მლესხნოვის პროსპექტის ძალიან სასიხის სულ ძირა სა-
რთულში ცხოვრობს კინო-ფაბრიკაში მომუშავე გიგო. საღა-
მის ცნობა საათი იქნებოდა, როდესაც გიგომ ვანშის ჭამა და-
ასრულა და ცოლს უთხრა:

— მე ახლა სამუშაოდ უნდა წავიდე! ამაღამ ჩვენ გავეთე-
ბულ დიდ გემს იღებენ კინო-სურათისათვის.

მაშინ სიტყვების გაგონებაზე პატარა ლექსომ, რომელიც
უკვე დანაძინებლად ემსადგებოდა, ფართო და ცოცხალი თვალები
კიდევ უფრო დაჭეიტა, მაშას გავეირვებით მიუბრუნდა და
ძვეკითხა:

— როგორ გემს? მაშა, გემები რომ სღვაში დადიან? ჩვენ
სკოლაში ასე გვასწავლეს და შენ კი ამბობ, ამაღამ გემის გა-
დაღებააო. ტყვილისში რომ სღვა არ არის, გემს აქ რა უნდა?

გიგოს გაეცინა, პატარა ლექსოს თავზე სული გადაუსვა
და მიუგო:

— სულ მინც კვირას და სკოლაში არ მიდიხარ. თუ არ გეპინება, მე წაგეყვან და გიჩვენებ ნამდვილ გემს, ისეთს, რო-
 კორიც სდგაში დადის, მკრამ ბქ კი სმელეთსე დგას.

გახარებული ლექსო საჩქაროდ დატრიალდა, ცალი გან-
 დილი ფესი, დასამინებლად რომ ემზადებოდა, საჩქაროდ ჩაი-
 ვა და მამას კინოფაბრიკისაკენ გაქევა.



კინო-ფაბრიკის ესიში დიდი გეპი იდგა, რომელსაც ქვემ
 ბორბლები და საქახელი ჭქონდა მოწყობილი. გემს გარშემო
 დიდი სანათორები ჭქონდა, რომლებიც დღესათი ანათებდენ.
 მრავალი მსახიობი—ქალები და კაცები—მესდებურებისა და
 მკსაზრების კონსტრუქტებში ემზადებოდა გადაღებისათვის. რეჟი-
 სორი ამბლებულ ადგილსე იდგა. მას გვერდში კაცი უდგა
 კინო-აპარატი. რეჟისორმა სძამილა დაიძახა:

— მოემზადეთ!

ეველა დაფაცურდა. გამსათებლები სინათლეებს ასწორებენ, მსახიობები თავთავიანთ ადგილებს იჭერენ. მუსიკაურები გემის ბაქანსე ღვანან.



პატარა ლექსო უოველიუკს გაკვირვებით მიხერებია, მისი ფართე თვალები კიდევ უფრო გაფართოვდენ და ძილი აღარ ეკარებათ. ახლა უკვე ღამის თორმეტი საათია, მას ამ დროს უოველთუის ეძინა, მაგრამ ახლა კი თითქოს ახალგაზმოღვიობული იეოს, ისე გაიტაცა ამ ამბავმა.

— დაიწყეთ! — დაიძახა რეჟისორმა. გემის ბორბლები მუშებმა აატრიანეს, გემი ამომრავდა, თითქოს ზღვაში იეო, ბაქანსე მღვამი მუსიკაურები ბაწრებს ასწორებენ და ბომბებსე არბიან. აწარტთან მღვამი კაცი აწარტის ტარს ატ-

ბრძოლებს, რეჟისორი ბრძანებებს იძლევა, მოკლურებზე კამო-
 წუობილი მსახიობები ბეჭანსე ამობიან, კემსე საერთო ხონ-
 ქალი ასტედა.

ბორბლებს, რომელსედაც კემი დეან, მუშები ბტრბალებს
 და სქანელით კემს ოდნავ ბქანებენ. ბტარა ლექსო მხარუ-
 ლად იცინის. რეჟისორი შემოტრბალებს და ლექსოს სიცელს
 შეამხნევს, თანამქმეს ებანის და ელანბრბება:


— წაივებნეთ ეს ბტარა ბიჭი და მქსლვაურს სელში მიე-
 ცით კემის დღეუბის დროს.

ლექსო კამოურევევლობაშია, თანამქმეს ლექსოსთან მიდის,
 ხელს ჭვიდებს და კემსე აივებნს. ერთი-ერთი მქსლვაური, რო-
 მელსაც ლურჯხოლებიანი სდლთი ევვა და თავსე მქსლვაუ-
 რის ქუდი ესურა, ლექსოს ხელს წამოაელებს და კემის „კა-
 ეუტბი“ ხაივებნს. კემს ციცსელს წაუეიდებენ, მუშები ბორბ-
 ლებს უფრო ძლიერად ბტრბალებს და სქანელსც მტტი ძელ-
 ღობით ბქანებენ. რეჟისორი ევირის. კემსე დიდი ბრეულობა
 შეიქნება, „კაიუტბიდან“ ამობიან მქსლვაური და მქსლვაურები,
 სოვი მხოლოდ სცველების ამბრა, სოვს სელში ხემოდანი
 უჭირავს, სოვს მუშუმოვარა ბეშები და კემიდან მირს სტე-
 ბიან. კემის ეოველი მსრიდან ძელანსე თივა ერბა, ასე რომ
 კადამტარი მოკლურები თივასე სტებოდენ უვნებლად. კემსე
 ციცსელი უფრო ძლიერდება და ბრეულობაც მტტი ბქანსე
 ამოვარდება მქსლვაური, რომელსაც ლურჯხოლებიანი სდლთი
 ევვა, და ხელში ლექსო უჭირავს. მქსლვაური ლექსოსთან ერ-
 თად კემის ბქანიდან კადახტება. ლექსო და მქსლვაური ორი-
 ვენი ვარდებინ თივის ძელად კორასე, ასე რომ ლექსოს სიბ-
 მოვნების მტტი ბრბერი უკრბენია. კემს ციცსელი უფრო მქ-
 ტედ მოვლა და ბქანსე ზღარბენ დარხა.

რეჟისორმა ვასცა ბრბანება, რომ კემი წაექციათ. კემს მუ-
 შებმა ბორბლები და სქანელი კამოაცლეს. კემი მიწანსე დე-

ცა. კაცი, რომელიც აზარბატანს იდგა, აზარბატის ტარს ისევ ატრიალებდა.

კადაღება კათაბავს. ცუცხლწაკიდებულ კემს წელით დაქრობა დაუწყეს. ზატარა ლექსი ნახიაშოვნები იდგა მამასთან და თვალებს მსიარულად ატრიალებდა. რეჟისორი ლექსოსთან მივიდა, თავსე ხელი კადაუსვა და უთხრა:




— თამაში ბიჭი ეოფილსარ, არ შეგეშინდა. კიდევ როცა შექნება კადაღება, მამამენს ვეტყვი, რომ მოგიყვანოს და კათამაშებ სოღმი.

ლექსო მსიარული მისდევდა მამას შინისაკენ. დილის სუთ საათსე მის კიდევ არ ეტინებოდა და მამას კითხვებით აბრუებდა.

— კი, მაგრამ ეს ხომ მიწასე იყო და როდესაც საღისი ნახავს, ხომ იტყვიან, კემს მიწასე რა უხდაო?

— არა, შვილო! როცა სურათი იქნება, კინოში ასე აღარ გამოჩნდება, მაშინ უკვლავს ეგონება, რომ ეს ზღვაზე მოხდა, — მიუგო მამამ.

შემორე დღეს ლექსო სკოლაში ამხანაგებს უკვებოდა თავის თაყვანისმცემელს და ამ ამბავს მისი ამხანაგები სიამოვნებით ისმენდნენ.



კაციდა დრო. მამამ ლექსო კინოში წაიყვანა სურათის სახელებელად. ლექსომ სურათის ეურების დროს შეხედა, რომ უზარმაზარი კემი აღელვებულ ზღვაში იღუნება და საცოდავი მოგსაურები კემიდან ცვიან და აღელვებულ ზღვაში ისრობიან ლექსომ მოგსაურები იცნო და გაკვირვებული მამას კვითხებოდა:

— ესენი სომ ის მოგსაურებია, ჩვენი ზმელეთის კემზე რომ იუვნენ და აქ ზღვა როგორ გაჩნდა?

მამამ გაციინა და მიუგო, რომ სღვა ცაღვე არის ვადა-
 დებული. ლექსომ უეცრად შეამხნია, რომ ცეცხლწკიდებული
 გემის „კაიუტიდან“ ამოვარდა შესღვაური, რომელსაც ლურჯხო-
 ლებიანი ხალათი ეცვა, ხელში ლექსო ეჭირა და სღვაში
 ვადავარდა ლექსოსთან ერთად. ლექსომ იცნო თავისი თავი,
 სარკეში რომ ენახა, მხიარულად შესტა სკამსე და მამას მია-
 მხა:

— ბი! მესე ვერ ვარ.

კინოს მაურებლებმა ლექსოს ეურადღება მიამციეს, უხა-
 როდათ და იცინოდენ, რომ ლექსო ვერ ისვენებდა.

ვ. მღივანი.



— საით?

— მიედივართ სოფელში სამუშაოდ.



ახალი სიგურა

(კალოსპირულის მაგიერად)

თუნდა ამოდი, ჭე, მხოო,
და თუნდა დაიკვიანე.
მე ვანას მინც ვაგლეწვე
და თანაც ვაგანიავე.
აღარ მჭირდება კალოსპი-
რის ჩაძლა, ფიწლის ტრიალი.
მანქანა მიდგა ისეთი,
რომ ვააქვს ვუგუნ-ვრიალი.
წინეთ ზღაზუნია ვაქესა
უღელში ხარსა ვუბავდი,

კალოსპირულის სუსუნში
სევედა-ვაქემსს ვურთავდი.
ასე შეიკვალა დროცა,
ვევრი აღარა მჭირდება,
ვანას ვლეწ ახელ მანქანით,
სამუშაო დროც მჭირდება.
კალოსპირულის მცხოვრად
სულ სხვა სიმღერებს ვეუბნებ...
ახალ ცხოვრების ჭირიმე, —
ეოველთვის ამას ვღუღუნებ.

დ. თურდოსპირელი



ჩვენი კონსტიტუციის დღე.

ამ თვის წლის წინათ (1923 წლის 3 ივლისს) წითელ მოსკოვში დირსქესანიძნაკი ამბავი მოხდა: ამ ისტორიულ დღეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების უსუნჯესმა ორგანომ, სრულიად საკავშირო ცენტრალურმა აღმსრულებელმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია (ე. ი. ძირითადი კანონები) დაამტკიცა. ამითი საბოლოოდ ჩამოვადინებდა უდიდესი სახელმწიფოს მტკიცე შენობა.

ეკანომიური განვითარების სიმხელემ და იმ ვარემოებამ, რომ თვითვეულ რესუბლიკას ცალკე არ შეუძლია თავის დაცვა იმპერიული სმისაგან, წარმოშვა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ერთიანი ჯარით, საერთო საკავშირო სასაღხო კომისარიატებით.

მესმევიკურ საქართველოსაც ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, რომელიც არსებითად მშრომელი მასის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული; საქართველოს დემოკრატიული მოძე-

რობის ძირითადი კანონები იცავდნენ შექმნილი ხალხის ინტერესებს; ძალიან დიდი განსხვავებაა ამ ორ კონსტიტუციას შორის; თუ მენშევიკური საქართველო ნგრევის, დაშლის და ცეცხლის სარბიელად იყო გადაქცეული, სადაც სდევნიდნენ მუშებს და გლეხებს, — საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველო კულტურულ-ეკონომიურად წყალშია განართული; თუ მენშევიკების დროს მუშები და გლეხები ციხეებში იხრცებოდნენ და მოსახლეობა შიშხილობდა, — საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშები და გლეხები კულტურულად და სივითურად უსრუნველყოფილი არიან და შედგრად იბრძვიან ქვეყნის აუვაკებისათვის, სოციალისმისათვის. ამის უტყუარი საბუთია: ახალი ქარხნების აკება, სკოლების ქსელის ვაფართოება, საჯესი და სხვ.

ვევლადფერი ეს დამოკიდებულია კონსტიტუციის ხასიათზე. ხელისუფლების ძირითადი კანონები სახლგრადეს სახელმწიფოს ცხოვრებას და ხასიათს.

ოქტომბრის დღესასწაული და 3 ივლისი (კონსტიტუციის დღე) ზროდეტარული რევოლუციის ორი დიადი, ერთმანეთთან გადაჯაჭული დღესასწაულია.

ხვენი კონსტიტუცია არის საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა შმობისა და კულტურულ-სივითური აუვაკების საფუძველი.



გავუი ქურილან.

ღამეა. სოფელი მოსახლეობასთან ერთად მიდის მიუცა.

კლესების მისვლა-მოსვლა მისწუდა, იშვიათად კაცისმის სა-
ქონლის ბღავეილი და ძაღლების ყუფა.

შუა სოფელში სდგან კლესების კარგა მოხრდილი შენობა,
რომლის ფანჯრებიდან შუქი გამოდის.



კლესების კარეთ ვიღაც დადის, დროკამოძვეებით შესვალ კა-
რებს უახლოვდება.

კარების სახელურს ხელს ჭკიდებს, მაგრამ ისევ გამობრუნ-
დება და კიდევ კაცივლ-გამოივლის. ამკარად ეტეობა, რომ კლეს-
ში შესვლა უნდა.

კიდევ მოჭკიდა ხელი კარების სახელურს და ცოტა შავლა,
შემდეგ ისევ მოხურა.

ამ დროს კარი გაიღო, და წითელბანტიანმა ხსლგასრ-
 დამ გამოიყვდა.

— მობრძანდით, მობრძანდით,—მიამძახა მან.

მაგრამ დანატყეებული ჩქარი ნაბიჯით მოძორდა კარებს.
 წითელბანტიანს იჭვი დაეხედა და გადასწეუიტა გავეო, ვინ
 იყო.

ჩქარი ნაბიჯით სცადა დაწეოდა უცნობს, უკანასკნელმა
 კი სიარული სირბილით შესცვალა.

— შეხერდი, ამხანაგო!—მიამძახა წითელბანტიანმა, ტყვი-
 სავით გაქანა გაქვეულისკენ და დაეწია, რადგანაც წითელბან-
 ტიანი რეზნაში გაპარჯიმებული იყო.

— ვინა ხარ?—მანსლოვეებისთანავე შესძახა ზიონერმა, რო-
 მელსაც უცნობი ქურდი ეკანა და საბრძოლველად მოემზადა.

მის წინ იდგა თმაბურძენული და მონძებში გასვეული
 12-13 წლის ბავში, რომლის ნახშირისფერი დიდი თვალები
 განიერულად გამოიყურებოდნენ.

— არა მცემო, არა მცემო,—მიამძახა მან მუშტმოღერებულ
 ზიონერს, რომელაც უმწეო ბავშვის დანახვასე განცვიფრებული
 შესდგა.

— რას ამბობ, მეკობარო! რომელი უსინდისო გაბედაუს
 შესს ცემს!

— თქვენ ზიონერი ხართ, არა?—შევეკითხა ბავში.

— დიას!—იყო ზასუსი.

— მე თქვენს კლუბში შემოსულა მინდოდა, მაგრამ ვერ გა-
 პებდე.

— რატომ, მეკობარო, წამოდი ჩვენთან. ვინი შვილი ხარ?
 მამა სომ გაჯეს?

— არ მახსოვს მამა. მითხრეს კი, რომ იგი ზოლიცაიმ
 მოჭკლდა.

— დედა სომ ცოცხალია?




— დედა? დედა ავად არის, — სთქვა ცრემლმორეულმა ბავშმა.

— წამოდი ჩვენთან, მეგობარო, წამოდი და უოველმსრივ დაგკესმარებით, დედაშენსაც ექიმს გავუკზავნიოთ. მას, ცხადია, წამლობა ესაჭიროება.

ამ სიტყვებით ზიონურმა ბავშს ხელი მოჰკიდა და კლუბისაკენ წაიყვანა.

— ამხანაგებო! — კლუბში მისვლისთანავე მიმართა ზიონურმა მეგობრებს, რომელნიც სოგნი წიგნს კითხულობდნენ, სოგნი



F 1929



ჭადრაკს თამაშობდნენ. — ამ ბავშს დანძარება სჭირდება, დედა ავადა ჰქვავს.

ამხანაგის მიმართვასე ზიონურებმა თამაშს თავი მიანებეს და ბავშს მიუახლოვდნენ.

მოილაპარაკეს, თუ როგორ დანძარებოდნენ მას.

წავიდნენ სოფლის ექიმთან.

კარები დააკაკუნეს და ექიმიც მაშინვე გამოვიდა.

— გამარჯობა! — მიესალმნენ ზიონურები ექიმს.

— გაგიძარჯოთ, მეგობრებო! — უნასუსა იძინაც მსიარულად.

— რას შეტევით ახალს?

ბავშებმა ეველაფერი უამბეს და ცოტა ხანს შემდეგ ექიმი ზიონერებს ბაასით მიჰქუებოდა.

ისინი მივიდნენ ქათმის საბუდარის მსგავს ქოხთან, რომელსაც ლერწმის სასურავი ჰქონდა.

— რა ამბავია, შვილო? — მიძქრალის ხმით შევეითხა გოგის ავადმყოფი დედა.

— მშვიდობა, ჩემო დო, — უნასუსა ექიმმა ავადმყოფს.

— თქვენ კარგად გახდებით, — უთხრა ექიმმა განსიჯვის შემდეგ, აი, წამალი გამოგიწერეთ, რომელსაც სოფლის აფთიაქში უფასოდ მოგცემენ.

ამ სიტყვებით გამოემშვიდობა და თავისი ზატარა მეგობრების თანხლებით გაემართა შინისკენ.

* * *

გოგის დედა განიკურნა.

ახლა ისინი ცხოვრობენ ახალ ბინაში, რომელიც ზიონერთა კოლექტივის ესოძია. გოგი ზიონერთა კოლექტივში ჩაეწერა და ძალიან აქტიური გამოდგა.

გოგის დედამ შეერვალაობა დაიწყო. იგი ხან ზიონერებისთვის ჰქერავდა ტანსაცმელს, ხან კი კლესებისთვის, მუშტარი შეიზია და საცხოვრებელ სარხოს ადვილად მოულობდა.

გოგიმ ერთ წელიწადში კარგად ისწავლა წერა-კითხვა. ზიონერთა კედლის განხეთში თანამშრომლობდა, ქარხანაზე სთხზავდა ლექსებს.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩა კოლექტივის ხელმძღვანელს და თემკომის მდივანს მოელაზმარავა.

— ქალაქში სასწავლებლად ხომ არ წახვალ, გოგი? — უთხრა ერთხელ თემკომის მდივანმა.

გოგის თვალები გაუბრწყინდა.

— შეუძლებ? როგორი სასწავლებელია! — სედიზედ წარმო-
 სთქვა მან.

— თუ მოიწადინე, შესძლებ. იქ სელობასაც გასწავლიან
 და მეცნიერულ საგნებსაც.

— საჩემოა, იაკობ, საჩემოა, მე სელობის შესწავლაც
 მსურდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ვოკი გამოემშვიდობა დე-
 დას და თავისი ორი ამხანაგით ქალაქისკენ გაემგზავრა.



ქალაქში ჩასვლისას კითხვა-კითხვით მიადგენ ერთ შენო-
 ბას, რომელსაც ასე ეწერა:

„საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი“.


ვოკიმ თავისი ენერჯია სასწავლებელში გააათქვამა.

ვევლგან იღებდა მონაწილეობას: კედლის გასეთში, კლუბში.

დედას ხშირად სწერდა წერილს, სადაც ზირდებოდა, რომ
 ის გუგულოდინედ შეისწავლიდა სელობას და დაბრუნდებოდა
 სოფელში, სადაც გამოადგებოდა კლეხებსა და ოჯახს.

ბნელ კუთხეში მიგდებული
ნათის ლამფა წუწუნებდა:
—ვიდრე ვიუაუ ახალგაზრდა,
მე არაუინ მიწუნებდა;
მაგრამ როცა ჩემს მეტოქედ
გაჩნდა რაღაც რეკვალი მინა,

აიღეს და გადამაგდეს—
ამ კუთხეში მომცეს ბინა.
ამბობენ, რომ მე დავბერდი,
გამივიდა უკვე დრონი,
და ჩემს ნაცვლად ახლა ოთახს
გაბანათებს ელექტრონი.



2. ა. ბ.

ელექტრონმა შედიღურად
მაგიდიდან უზახუსა:
—დაო, ავრე რას წუწუნებ?
დაო, ავრე რატომ სწუხარ?
მე ახალი მუქი მომაქვს,
შენი დრო კი გადავიდა,

მე ასანთი არ მჭირია
და არც ნათი შესწავითა.
შენ ჭბოლავ და იჭვარტლები,
ხანძარს აჩენ წარამარა,
მე ასანთად ეს დიდი მაქვს,
სადგურდიან მომდის ძალა.



ანკისი

ზატარა ნუცა სხსლის წინ თამაშობდა. დანახა, რომ მის უფროს ძმას კაწოს ჯოხზე გრძელი ძაფი გამოუბამს და სადღაც მიდის.

— კაწია, სად მიდისარ?— ჰკითხა ნუცამ.

— სათუჯსაოდ მიუღივარ, კინდა, წაგუეგანო?

— მინდა, მინდა!— გაესარდა ნუცას.

— აბა, წავიდეთ! მაგრამ ჯერ გაიქეცი, შენი ზატარა კოლოფი წამოიღე.

ნუცა გაიქცა, გამოიტანა თაგისი. ზატარა კოლოფი და ორივენი გაუდგენ გზას.

— ბოსტანში რატომ მიუღივართ, მდინარე სომ იქით არის, თუვსს როგორ დაიჭერ?— დააუარა კითხვები ნუცამ.

— უჰ, ამდენ კითხვასეერთბამად როგორ უნდა გიპასუხო, ნუცა, ა?

— მაშ კარგი, ჯერ მითხარი, თუვსს როგორ დაიჭერ?

— აი, ამ ანკესით,— კაწომ აჩვენა ანკესი.

— რა ძაღვი და გრძელი ძაღვი აქვს გამობძული, თმისაგან გააკეთე, განა?

— დიას, თმისაგან, მაგრამ ცხენის თმისაგან, ჩვენი ფეხ-ძარდას ფაფრისაგან გავაკეთე, ძალიან მაკარია და არ გაწედე-ბა, როდესაც თვეში წამოვუგება ანკესზე და გასწევს.

ამსობაში ბავშვები ჩავიდვენ. კოწომ ამოიხიქნა მიწა, ჭია-ველები ამოთხარა და ნუცას კოლოფში ჩაყარა.

— ჰო, აი რატომ წამოვედით აქეთ, — სთქვა ნუცამ და ამოიხეხნემა, როდესაც თავის ღამის კოლოფში ჭიაველები და-ინახა. მაგრამ როდესაც კოწომ მისვე მიაწოდა კოლოფი წა-მოსადებად, გამოართვა და წაუღო.

მდინარის ზირას კოწომ ჭიაველა ანკესს წამოაცვა, გამო-არჩია შესაფერი ადგილი ჩრდილში და ჩააკდო წუბლში.

ნუცა ჩაცუცქდა მოღსე ძმის გვერდით და ჩუმიდ უუურერებ-და. დაინახა, როგორ მიცურდენ თვესები ჭიაველას დანა-სვასზე ვერ ფრთხილად, შერე როგორ გათამამდა ერთი და ეცა ჭიაველას. ვერც კი მოასწრო ნუცამ სინარულით დავეირება, რომ კოწომ ზვეით ამოაკდო, მოხსნა თვესი ანკესს და სის კავსე წამოაცვა ღაუუხებით. შერე ისევ გააკეთა ანკესზე ჭია-ველა და მეორე ადგილას ჩააკდო წუბლში. ახლა ანკესი აღარ ჩანდა, რადგანაც წუბლი ღრმა იყო, წუბლს ზვეით კი ძაფზე გაკეთებული საცობი დაცურავდა. უცებ საცობი შეტორტმანდა, კოწომ სწრაფად ამოსწია ანკესი და კიდევ უფრო მოწრდილი თვესი ამოიყვანა. თვესი ფართხალობდა და უძწეოდ აღებდა ზირს. საღამომდის კოწომ მოწრდილი ქაძანი და ღოქო და-იჭირა და წამოვიდენ შინ. დედა სწორედ ვახშმის სამხადისში იყო, გამოართვა თვესები ბავშვებს და ვახშმისათვის მოამხადა.



კატარა ჩინელი

ზატარა ბავშვი
 ღურვი საღათით
 სის ქვაფენილზე;
 ნაღვლით საფსე
 მქრალი თვალებით
 უცქერის ვეელას;
 თვალთა სიღრმეში,
 დაღონებაგადაფენილზე,
 ამოიკითხავ
 შეგობრულად
 ნათხოვსა შეელას...
 მოცილებული

თავის სახლ-კარს,
 კანაშვარები
 ქვაფენილზე სის
 ზაწაწინა,
 უცხო, ეული;
 მისს ქვეუნიდან
 მტარვალთაგან
 დღენაშვარები,
 თავშესაფარად
 შორით ხეუნსკენ
 გამოქცეული...
 წითელ ბავშვებმა

ჩაუარეს
 ჰატარას გვერდით,
 წითელ სასვევით...
 ჩააცქერდენ...
 ამგერდა გული...
 არ უნდა იყოს
 მარტობა
 ჰატარის ჩვენში,
 ჩაიკრეს გულში
 მათ სტუმარი:
 „ნუ ხარ მოწვევით,
 შრომის ქვეყანა
 შენც კეკუთუნის,
 ჩვენ ხომ ვართ მძევი!“
 „თქვენ ჩემთანა ხართ!“
 დაიძახა

ჩინელმა ღხენით,
 და გადმოსცვივდა
 ჰაწაწინას
 შვების ცრემლები ..
 ჰატარა ბავში
 წითელ რკალით
 სდგას ქვაფენილზე;
 ნდობით აღსავსე,
 სისხრულით
 უცქერის ვეელას;
 თვალთა სიღრმეში,
 შვების ნათელ
 გადაფენილზე,
 ამოიკითხავ
 მადლიერად
 მიღებულ შველას.

გ. რობიტაშვილი





ბავშვის მემორარი იაკობ სიმონის ამ გომეზაჟილი.

იცით, ბავშებო, ვინ არის იაკობ გოგებაშვილი? ალბათ, ბევრი თქვენგანი ვერ იცნობს მას; იქნებ გავიწყდეთ არ გავქვთ. თქვენი მშობლები, უფროსი და-ძმები და ნათესავეები კარგად იცნობენ მას.

ბევრ თქვენთანს ეცოდინება ლექსი: „უაჯახოსა სი-
 წითლეთა უანა დაუმშვენებია“; „მხეო, ამოდო,
 ამოდო“, „დედა-კატა კარს უბან ცუცქს“, „ერთი თხა ჭეა-
 და ბებიას“ ვის არ გაუგონია? სეზირადაც იცით, ალბათ, ზღაპ-
 რები: „მებაღურის შვილი“, „კვრიტი“, „ჩიტი და მელა“,
 ჩიტო, ჩიტო, ჩიორა“ და სხვა ამგვარი ზღაპრები, ანდასები,
 გამოცანები და იგაგ-არაგები.

იაკობ გოგებაშვილს მრავალი წიგნი აქვს დაწერილი, მაგრამ მათ შორის უკვლახე უფრო გაურცელებული და ცნობილი „დედა ენა“ იყო.

„დედა ენაში“ მან შეკრიბა ხალხური ლექსები, ზღაპრები, არაკები, ანდაზა-გამოცანები, რომლებიც მშრომელი ხალხის ეოფა-ცხოვრებას, მის ჭირ-ვარაძს ეხება.

„დედა ენა“ შეიცავდა ანბანის შესასწავლსა და მის შემდეგ საკითხავ მასალას.

„დედა ენით“ აქვთ შესწავლილი წერა-კითხვა თქვენს მშობლებს, ნათესავებს, მრავალ ზოასს და ათიათას ქართველს.

წინათ ასე როდის იყო?

თვითმწირობელი მეფე ნიკოლოზის დროს საქართველოში და მცირე ერებში აკრძალული იყო სამშობლო ენაზე სწავლა, ლაპარაკიც კი.

იაკობ გოგებაშვილი და ბევრი მისი მსგავსი მოქალაქეები ებრძოდნენ ამისათვის თვითმწირობელობას კალმით, მწერლობით.

სახელმძღვანელოებს კარდა, იაკობი მრავალ ჰედაგოგოურ წერილს წერდა, რომლებშიაც ამხელდა ნიკოლოზ II-ის გამარუხებელ ზოლიტიკას სკოლებში.

დღეს ეოველი თქვენთაგანი ქართულ ენაზე იღებს სწავლა-განათლებას, დღეს ეს არათუ აკრძალულია, ზიოქით, სავალდებულოა. წინათ, როგორც ვთქვით, ეს ასე არ იყო.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და სხვა სახელმძღვანელოები ჩვენს სკოლებში დღეს აღარ იხმარება, რადგანაც ჩვენს დროს უფრო განახლებული, შესაფერი სახელმძღვანელოები სჭირია, მაგრამ მათ თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ასლა, აღბათ, კანტორებსთ გაიგოთ ცოტა რამ მისი ზიოვნების შესახებ. ივნისში შესრულდა 15 წელიწადი, რაც იაკობ გოგებაშვილი კარდაიკვალდა.

იგი დაიბადა სოფ. ვარინში (გორის მაზრა), 1840 წ. 8-9 წლის იგი მიიბარეს გორის მაშინდელ სასულიერო სწავლებელში. აქ სწავლის დასრულების შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს, ხოლო 1862 წელს, სასულიერო სემინარიის კათაგების შემდეგ, როგორც საუკეთესო მოწაფე, ვაკე საზნაულო იქნა კიევის სასულიერო აკადემიაში.

კიევში მას ფილტვების სისუსტე დასწემდა და იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო სწავლის დაუმთავრებლად.

მომჯობინდა თუ არა, სამსახურს მოჰკიდა ხელი: სასულიერო სწავლებელში მასწავლებლად დაინიშნა.

იაკობი ძველი სკოლის უახრძული რეჟიმით შევიწროებულ მოწაფეებს მანუგებებლად მოეკვლინა: აარსებდა მოწაფეთა ფარულ წრეებს.

ამ წრეებს მიზნად მოწაფეთა სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯობესება ჰქონდა დასასული. ამისთვის ის სამსახურიდან დაითხოვეს. მეორედ შევიდა იაკობი სამსახურში, მაგრამ მეორედაც დაითხოვეს: „ბუნების კარში“ მაიმუნების ცხოვრება აღწერა, ეს კი მაშინდელმა სასკოლო მთავრობამ დანაშაულად ჩაუთვალა, აქაო და შენ სწავლული დარჯინის თეორიის მიმდევარი ხარ, აღამაზნს მაიმუნების უძიად სთვლი და არა ღვთის განჩენილადო. და, აი, იგი ამის შემდეგ სამსახურში აღარ შესულა, მოჰკიდა ხელი მწერლობას და, როგორც შემოთ აღვნიშნეთ, სასულძღვანელოების შედგენა-მიწოდებით ემსახურებოდა ახალი თაობის აღზრდის საქმეს. ის გარდაიცვალა 1912 წლის ივნისში.

ილია სიხარულიძე.

კ ო ც ო ნ თ ა ნ

გზა დაკვანტვით და ორი საათი დაუდიოდით უკზოუკვლოდ
მე და ამხანაგი ნაძვნარის ბნელ ჭვალაში.

მოსახვევში, ხეების ძირებს შორის, შევნიშნეთ ცეცხლის
აღი... ფერმა გადაგვიკრა... ნეტა ვინ იქნებიან?... დაგვიანებუ-
ლი მეთევვეები, თუ ეახლები?

უცებ გაიხსნა სიბნელეში ბავშების მხიარული სიმღერა.



— ხევენ ვართ ეკვლანი
ღვინელები!..

კოცონის ირგვლივ, მწვანე ბაღასში ნახევრად დამაღიულ-
ნი შემომწყვრივებულან ღიონერები.

ცეცხლზე, საში სისვან შეკრულ საკიდზე, ჭეიძია ქვაბი,
რომელშიც კეთდება ვახშაში და ნაღვერდალზე იწვება კართო-
ფილი...



ჩვენ შემოგვეხვიენ გამხვებული ბავშვები.

მოგვაუარეს ათასი კითხვა... ისმის ხუმრობა, სიცხილი.

— რას იტყვიან? გზა კანსწავლოთ, თუ ჩვენთან კატარვობით
ღამეს? — გვეკითხებიან ბავშვები.

მაგრამ ისე კარგია მხიარულ ცეცხლთან, ვარსკვლავებით
მოჭედული ცის ქვეშ, რომ არც ერთ ჩვენგანს აღარ უნდა წა-
სვლას...



ბუჩქნარის ქვეშეთ მოვარის სსივებში ეთამაშება მდინარის
ტალღებს, საიდნაც მხიარული ხმები მოისმის.

ცოტაც და იქიდან ბრუნდება მხარსე ანკეს გადაკიდებული
ორი ზიონერი.

ქვაბში ფართხალობს დაჭერილი თევზი...

— ვაძა, ამხანაგებო! ჩვენ ვახშად ასალი თევზიც გვექ-
ნება!

მორიგეები უკვე ამხადებენ საწოლებს.

გამძლეს ტილოები, დაუარეს სუფ ბულთულები ნედლი
ბაზახის...

და ამ დროს კოცონთან იწყება საუბარი ჩინეთის საკით-
ხებზე.

პოლიტიკური თემები უოველთვის აღუვლებენ ზიანერებს! მაგრამ უფრო მეტი ინტერესით ინჰენენ ბაჰუები სჰუბრებს ევაგილ-მცენარეების და მწერების შესახებ; ეველა იმსჰე, რაც-კი ევავის და სვდება ტეჰში.

კაცობის ცოტა მოჰორებით მოსრდილი ბაჰუები მიამბობდენ: — ჩენი ფაბრიკა ღარბია.

ამიტომ ჩენ უოველთვის არ შეგვიძლია თავის დროსჰე გამოსვლა ბანაკად. მნელია საუხულის გატარება ქვის კედლებში, მტვრიანი ფაბრიკის მიდამოებში... გვინდა ჰაერსჰე ვასვლა... თავისუფალ, დღეებში მივდივართ მინდვრებსა და ტეჰებში...

ჩენებში იქ ინჰენებენ სუფთა ჰაერსჰე, ჯანსაღდებიან. სიბნელე და შემთხვევით მოსული წვიმა აჩვევს მათ უშიშრობას.

გამოცდილი და მტეიცჰე უნდა იყენენ ისინი, ვისაც რეჰობია წილად უბედნიერესი სვედრი—ლენინის მიერ დაწეუბული საქმის განკრძობა.

გოგი.



თამაშობა.

თამაშობა სწარმოებს გარეთ, მოედანზე, ან ძალიან დიდ ოთახში. თამაშობაში მონაწილეობას იღებს 11 ან 16 ბავშვი ყველა მოთამაშეს, ერთის გარდა, გულზე აქვს გაკეთებული ნიშანი სხედასხვა ყვაგილეზიდგან ან სხედასხვა მცენარიდან და თვითელს ის სახელი ჰქვინან, რის ნიშანიცა აქვს გაკეთებული გულზე.

ყველანი დგებიან მოედნის გარშემო. ე. ი. წრეს აკეთებენ. დგება ერთი უნიშნო შუაში, რომელსაც ხელში უჭირავს ბურთი. ის ესერის მოლოდინელად რომელიმე მოთამაშეს ბურთს. მან მაშინვე უნდა წამოიძახოს თავისი სახელი და ბურთი უკანვე უნდა ვაღუვდოს. ვინცობაა თავის ნიშანის სახელი უკბად ვერ დაიძახა მაშინ თავისი ნიშანი უნდა გადასცეს მას და თვითონ ჩაღვეს შუაში. თუ მოხერხებულად მოეწყო ეს თამაში დიდ მზიარულებას იწვევს ბავშვებში და სასარგებლო მხარეც აქვს: ბავშვები ეცნობიან სხედასხვა ყვაგილებს და მცენარეებს.



ბავშვის შემოქმედება

ბლუნის სიმღერა.

გათენდება წყნარი დილა
და მეც წავალ ჩემს ყანაში,
ცელს მოვუსვამ ოქროს თავთავს;
ვენაცვალე იმას ხმაში!

ზამთრისათვის * შევეცდები,
მოვაგროვებ ქირნახულსა.

შემდეგ ზამთრით დავისვენებ,
გავაბარებ მეც ჩემს გულსა.

თავს მოვუყრი ერთ ამბარში
პურსა, ჭერსა და სიმინდსა,
ბატონი ველარ დამჩხალებს
და ვერ გამომართმევს წილსა.

ვასო მახარაშვილი

კატარა პიესა.

პეპელა და ბავში

ბავში—თეთრო პეპელა, ლამაზო, ნაზო, მომიცა, მომხიდე, შენსავეთ თეთრებში
ვარ, შენსავეთ კობტა ლამაზი.

პეპელა—ვერა, ვერ მოვალ შენთან, შენი მეშინია; თქვენ, ბავშვები, ხომ ჩვენი
მტრები ხართ: დაგვიჭერთ ფრთებს დაგვისრისავეთ, გულს იჯერებთ თამაშით
და მერე გაგვიშვებთ, ჩვენ კი ამას ვერ ვუძლებთ, ფრთები სუსტი გვაქვს
და ვიხოცებით.

ბავში—არა, არა, ბელს არ გახლებ, ოლონდ ერთი შემომხიდე (პეპელა შორს
გაფრინდება და ბავში დალონებული გასცქერის). აღარ, არასოდეს აღარ
დავიჭერ პეპელას.

I შრომ. სკ. II კლუფ. მოწ. შურა ელენტი.

ურმული ღამეში.

ხით დატვირთულსა ურემზე
იჯდა სოფლელი ბიჭია,
ბელი კოფოზე ეკიდა,
კამეტზე ეღვა ფეხია.

ზედ დასძახოდა ურმულსა
მშენიერ ლამაზ ხმაზედა,
ეს მშენიერი სიმღერა
ვარსკვლავებს წყვეტდა ცაზედა

გრიგოლ ნადაიშვილი.

სურამი.

სურამი არის ნაქები,
სიტურდით სავსე, მთიანი,
ირგვლივა მთები არტყია
ამწვანებული, ტყიანი.
მის მიდამოში იმყოფის
სურამის ციხე კლდიანი,
რომელიც ძველსა ხანაში
მტრებისთვის იყო ზიანი.
მასთანვე აგარაკია
განთქმული, სახელოვანი,
მართლაც რომ მშვენიერია
მისი მიდამო მთიანი!

სურამელი მგალობლიშვილი

პატარა ხმესურის სიმღერა.

მთაში გაზრდილი, ლალი ვარ,
არავინ მედარებაო,
ამბავი საცინ-სატირი
ბევრი უფრო აქ ხდებოა.

კინოა ჩვენი ბუნება,
მომღერალ ფრინველთ დასიო,
თავისუფლებაჲ ყველასი—
რალას სდევს მტტი ფასიო!

ლალი ვარ, ლალად გაზრდილი,
ნეტა ვინ შემებმებაო!
მე ვერ დავიდებ ბორკილსა,
ეს სხვისიც მეჯავრებაო.

მიყვარს მე თავისუფლება,
ლალად სირბილი მთებშიო,
შრომა, სიმართლე, ჩაგრულნი,
სალამურის ხმა ცხვრებშიო.

ჩემი ზეიმი ის არის,
როცა ბუნებას ვხედაო:
ფრინველთ გალობა, ნადირის
უბული ზედი-ზედაო.

ბარადაც ჩავალ, ტოლ-სწორებს
მივიპატიებ მთებშია,

გაეცნობ მთების ბუნებას,
უხე მასპინძლობას ჩვენია.

დაუფერავ ფანდურს, გავართობ
სასურველ სტუმრებს ამითა,
არ დავალონებ სტუმრებსა,
არ დავისვენებ წამითა.
მთაში ვარ ლალად გაზრდილი,
მტერი ვერ გვეკარებაო,
ახლა რა გვიჭირს, გვერდში გვეყავს
წითელი რაზმის დედაო.

ვ. ხარანაული.

რიონი

მორბის რიონი, ტალღებს აქანებს
და წყალს ანეარას ზღვის პირს აბა-
რებს...

მორბის, მოშბის გახარებული,
მას არ ალონებს ქრილობა, წყლული..
არ ებუება ქვას, ღრეს, მდინარეს,
ყვირის, ალიძებს ყველგან მძინარეს...
მორბის, მოღელავს ტალღათ ჩურ-
ჩულით,

წყალს აქაფებულს ისერის ჩუხჩუხით...
ზვირთი მობოქრომს, ხტის წყლისა
მკერდზე.

ტალღები დიდნი მორბიან გვერდზე..
ბატონობებსა მედგრად ეხლება,
იქ კი მორბისა ტრფობით ებევეა...

ვ ძამაშვილი

ეთოს ლექსი.

მეტი თინას დავალეგბით
უნდა ლექსი შევადგინო,
თუ რათ მიყვარს სათამაშოდ
პაწაწინა თოჯი ნინო.
მაგრამ სანამ ლექსს დავწერდე,
ნინო უხდა დავაძინო.
თავის პაწია აკვანში
მოსვენებით ჩავაწვინო.
ნანა, ნანა, ნანა, ნინო!
ვინძლო კარგა დაძინო.
რომ დრო მომცე ჩვენ თინიკოს
შენზე ლექსი შევუდგინო.

ზირაქიშვილი



განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სალიტერ.-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების

ს ი ა

1. „ნორჩი-ძალა“ — კრებული	12	კაპ.
2. „ბელა-ბეკევა“	10	„
3. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი-გძელია“	50	„
4. „ბაემებს“ — ლექსები გ. ქუჩიშვილისა	20	„
5. „ტყის ზღაპარი“ — მიმინ-სიბირიაკისა	20	„
6. „ტყის სურათები“ — შიო მღვიმელისა	25	„
7. „ქიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	80	„
8. „ქართული მოძრავი თამაშობანი“	80	„
9. „იგავ-არაკები“ — ალ. მირიანაშვილისა	30	„
10. „ივანე-სულელი“ — ზღაპარი ლ. ტოლსტოისა	15	„
11. „მოძრავი თამაშობანი“ სიმღერებით — გოგლიჩიძისა	1	მან.
12. „ოვიდიუსის მეტამორფოზები“ — ალ. მიქაბერიძისა	70	კაპ.
13. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით	50	„
14. „შველესი დროის ბავშვის თავგადასავალი“	45	„
15. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“	25	„
16. „გაზაფხული დი ზაფხული“	90	„
17. „რას გვიამბობს ოთახი“	20	კაპ.
18. „ზღვის სიმდიდრე“	20	„
19. „პატარა იაპონელები“ — ფერადი ყლით	75	„
20. „სიზმრად და ცხადად“	30	„
21. „კოკონთან“ — ჩვენი უფროსი ძმები, ახალგაზრდა კომკავშირელები“	10	„
22. „ლენინის საათი სკოლაში“	50	„
23. „ტაიგის საუნჯენი“	40	„
24. „კომბლე“ — ფერადსურათებიანი წიგნი	65	„
25. „პიონერი სოფლად“	25	„
26. „საბავშვო ბაღი“ — ფერადი სურათებით	1	მან.
27. „ნორჩი პიონერთა თანამგზავრი“	20	კაპ.
28. „მომღერლები“	15	„
29. „წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი“ — ჯისკარიანისა	35	„
30. „თინიკოს გამოცანები“ — ფერადი სურათებ	45	„
31. „საბავშვო სახლის ცხოვრება“	40	„
32. „იყავ მზად“	5	„
33. „პატარა ჰოლანდიელები“	80	„
34. „ჩემი პატარა წიგნი“ — ფერადი სურათებით	50	„
35. „მღალღი მთის და პაწია ნაკადულების ამბავი“ (საპირველმანისო ზღაპარი)	30	„
36. „ახალი ორთქლმავალის სიმღერა“	25	„
37. წითელკანიანები, — პ. ზღუნჯიკოვისა თარგ. მ. მ-მანისა	55	„
38. საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის მორიგი ამოცანები	15	„
39. ბავშთა კომუნისტური მოძრაობა მ. ტაბიძისა	60	„

— 1927 წ. —

გ ა მ ო ლ ი ს

საემბლეო დასურათებული ქუთხაღებთ:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ უფულ-თვიური მე-XXIII წ.

მოზრდილ. „პიონერი“ ორკვი-რეული II წ.

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ნაკადული“ — ერთი წლით—3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით—2 მ.
„პიონერი“ — ერთი წლით—5 მ.
ნახევარი წლით—3 მ.

ცალკე ნომერი { „ნაკადული“ — 35 კაპ.
„პიონერი“ — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „ნაკადული“ და „პიონერი“ რედაქცია. ელსმენი—11—07

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—სახელგამი.

